განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს ახალი უმაღლესი სასწავლებელის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ[1]

ექსპერტთაჯგუფისწევრები

თავმჯდომარე: გიორგი მახარობლიშვილი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

წევრები:

ნათია ბურჯანაძე,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

ანა მიხელიძე, კავკასიის უნივერსიტეტი,საქართველო

თბილისი
2020

[1]**შენიშვნა:** მონიტორინგის მიზნიდან გამომდინარე, ექსპერტთა ჯგუფი აფასებს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისშესაბამისობას რელევანტურ სტანდარტთან/სტანდარტებთან და/ან სტანდარტის კომპონენტთან/კომპონენტებთან

ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის დასკვნის რეზიუმე

ზოგადი ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

სახელწოდება	ახალი უმაღლესი სასწავლებელი
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება
სახე	სასწავლებელი
საიდენტიფიკაციო კოდი	404916203
ძირითადი მისამართი (ქუჩა, N, ქალაქი/ მუნიციპალიტეტი, საფოსტო ინდექსი, ქვეყანა)	ჭყონდიდელის ქ. N26, თბილისი, საქართველო
ვებ-გვერდი	www.newuni.edu.ge
ინფორმაცია დაწესებულების ავტორიზაციის შესახებ	ავტორიზებული
გადაწყვეტილების მიღების თარიღი და გადაწყვეტილების ნომერი	2019 წლის 27 სექტემბერი N15
ავტორიზაციის ვადის გასვლის თარიღი	2025 წლის 27 სექტემბერი

მოკლედ აღწერეთ ავტორიზაციის პირობების შემოწმების მონიტორინგის ვიზიტი

აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი:

შპს „ახალი უმაღლესი სასწავლებლის" მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების მონიტორინგის შესახებ" სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2019 წლის 27 ნოემბრის №1149 ბრძანებით შეიქმნა მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფი. ჯგუფი გაეცნო ახალი უმაღლესი სასწავლებლის მიმართ ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებასა და მონიტორინგის საფუძველს - საქართველოს პრემიერ-მინისტრის სახელზე დაწერილ ანონიმურ განცხადებას.

აღნიშნული გარემოებების ავტორიზაციის სტანდარტებთან მიმართებით შეფასების და საკითხის სრულყოფილად შესწავლის მიზნით 2019 წლის 11 დეკემბერს მონიტორინგის ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ვიზიტი სასწავლებელში. წინასწარ განსაზღვრული და უსდ-სთან შეთანხმებული დღის წესრიგის მიხედვით, ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სასწავლებლის რექტორს, რექტორის მოადგილეს, ადმინისტრაციის უფროსს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელს, დეკანს, პროგრამის ხელმძღვანელებს, აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს, სტუდენტებსა და კურსდამთავრებულებს.

შესწავლილ იქნა უსდ-ს მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაცია, სტუდენტთა პირადი საქმეები, ასევე, ექსპერტთა ჯგუფის მიერ გამოთხოვილი დამატებითი დოკუმენტები (სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი, ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებიდა სხვ.).

ზემოაღნიშნულ წერილში ყურადღება გამახვილებულია სასწავლებლის მიერ სტუდენტებისათვის არათანაბარი პირობების შექმანასა და კონკრეტულ ფინანსურ ინტერესებზე, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ კერძო სამართლის იურიდიული პირის ფინანსური ურთიერთობები ავტორიზაციის ექსპერთა ჯგუფის კომპეტენციასა და მოქმედების არეალს სცდება. ამდენად, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა სასწავლებლის მიერ ავტორიზაციის იმ სტანდარტების მოთხოვნათა დაკმაყოფილების საკითხი, რომლებიც დაკავშირებულია სასწავლო და კვლევითი პროცესების ორგანიზებასთან და მართვასთან, კერძოდ, უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა, საგანმანათლებლო პროგრამები, უსდ-ის პერსონალი, სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები, კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა. შესწავლილ იქნა სასწავლებელში ჩარიცხვის პროცედურები, საქართველოს მოქალაქეობის არმქონე პირთათვის სტატუსის შეჩერების შემთხვევები და მათი საფუძვლები.

საქმის წარმოების შედეგად ექსპერტთა ჯგუფმა ვერ დააფიქსირა ფაქტობრივი გარემოება, რომელიც პირდაპირი ან ირიბი გზით ადასტურებს სასწავლებელში მიერ სტუდენტთა მიმართ არათანაბარი დამოკიდებულების არსებობას.

ამავდროულად, ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფის ყურადღების სფეროში მოექცა რამდენიმე გარემოება, რომლებშიც იკვეთება გარკვეული შეუსაბამობა მოქმედი კანონქვემდებარე აქტებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან. კერძოდ, წერილობითი საგამოცდო სამუშაოების შენახვის ვადასთან დაკავშირებით სასწავლებელის მიერ დადგენილი რეგულაცია არ არის საქართველოს კანონმდებლობასთან შესაბამისობაში. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა ზემოაღნიშნულ გარემოებათა შეფასებაუმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტების:2.1, 2.2, 2.3, 5.1 და 5.2 კომპონენტებთან მიმართებით.
ვიზიტი წარიმართა მშვიდ აკადემიურ გარემოში და სამუშაო დღის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციის წარმომადგენლებს გააცნო ძირითადი მიგნებები.

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტანდარტებთან შესაბამისობის მიმოხილვა

რეკომენდაციები

- რეკომენდებულია, საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადა განისაზღვროს საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №72 ბრძანების შესაბამისად.
- სასურველია, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხოენოვანი სტუდენტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა არსებობდეს იმ პროცედურებთან ერთად, რომელიც ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტის სამომავლო ქცევის მიმართულებას განსაზღვრავდა და ეს არ იყოს ადმინისტრაციის მხრიდან „რეკომენდაციაზე“ დამოკიდებული, რომელიც, თავისი შინაარსიით, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ მოიცავს.
- სასურველია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაიხვეწოს და მორგებულ იქნეს ინდივიდუალურად პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას ადეკვატურად შეაფასოს და აკონტროლოს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი.

რჩევები

საუკეთესო პრაქტიკა

დაწესებულების სტანდარტებთან და სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასების შემაჯამებელი ცხრილი

	სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილადშესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ შეესაბამება მოთხოვნებს
1.	უსდ-ის მისია და სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
1.1	უსდ-ის მისია	☐	☐	☐	☐
1.2	სტრატეგიული განვითარება	☐	☐	☐	☐
2.	უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☑	☐	☐
2.1	ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა	☐	☐	☑	☐
2.2	ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები	☐	☑	☐	☐
2.3	ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა	☑	☐	☐	☐
3.	საგანმანათლებლო პროგრამები	☐	☐	☐	☐
3.1	საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავება და განვითარება	☐	☐	☐	☐
3.2	საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	☐	☐	☐	☐
3.3	სწავლის შედეგების შეფასება	☐	☐	☑	☐
4.	უსდ-ის პერსონალი	☐	☐	☐	☐
4.1	პერსონალის მართვა	☐	☐	☐	☐
4.2	აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის დატვირთვა	☐	☐	☐	☐
5.	სტუდენტები და მათი მხარდაჭერის ღონისძიებები	☑	☐	☐	☐
5.1	სტუდენტის სტატუსის მოპოვების, ცვლილებისა და განათლების აღიარების წესი და სტუდენტთა უფლებები	☑	☐	☐	☐
5.2	სტუდენტთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☑	☐	☐	☐
6.	კვლევა, განვითარება ან/და სხვა შემოქმედებითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.1	კვლევითი საქმიანობა	☐	☐	☐	☐
6.2	კვლევის მხარდაჭერა და ინტერნაციონალიზაცია	☐	☐	☐	☐
6.3	კვლევითი საქმიანობის შეფასება	☐	☐	☐	☐
7.	მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.1	მატერიალური რესურსები	☐	☐	☐	☐
7.2	საბიბლიოთეკო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.3	საინფორმაციო რესურსები	☐	☐	☐	☐
7.4	ფინანსური რესურსები	☐	☐	☐	☐

ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები

1. გიორგი მახარობლიშვილი (თავმჯდომარე)
2. ნათია ბურჯანაძე (წევრი)
3. ანა მიხელიძე (სტუდენტი ექსპერტი

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის სტანდარტის კომპონენტებთან შესაბამისობის შეფასება

2.უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა

უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა ითვალისწინებს საგანმანათლებლო სივრცეში არსებულ საუკეთესო პრაქტიკას, რაც გულისხმობს მართვისა და ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების ეფექტურ გამოყენებას მართვის პროცესში. აღნიშნული მიდგომა უზრუნველყოფს სტრატეგიული გეგმის განხორციელებას, ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის ინტეგრირებას მართვის პროცესში და ხელს უწყობს დაწესებულებაში კეთილსინდისიერებისა და ეთიკური პრინციპების დამკვიდრებას.

2.1 ორგანიზაციული სტრუქტურა და მართვა
○ უსდ-ის ორგანიზაციული სტრუქტურა უზრუნველყოფს უსდ-ის მიზნებისა და სტრატეგიული განვითარების გეგმით განსაზღვრული საქმიანობის განხორციელებას. ○ უსდ-ის მართვის ორგანოებში არჩევის/დანიშვნის პროცედურა არის გამჭვირვალე, სამართლიანი და კანონთან შესაბამისი. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა/მართვის ორგანოები უზრუნველყოფს უსდ-ის საქმიანობის ეფექტურ მართვას. ○ უსდ-ის ხელმძღვანელობა უსდ-ს მისიისა და მიზნის შესაბამისად, ხელს უწყობს საგანმანათლებლო დაწესებულების საერთაშორისო თანამშრომლობას და ინტერნაციონალიზაციის პროცესს.
აღწერეთ რომელ სტანდარტებთან შესაბამისობა შეაფასა ექსპერტთა ჯგუფმა მონიტორინგის ფარგლებში და როგორ წარიმართა პროცესი: მონიტორინგის ვიზიტის მიზანს წარმოადგენდა სასწავლო პროცესის წარმართვის შემოწმება სტუდენტის ჩარიცხვის მომენტიდან კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემის ეტაპის ჩათვლით, მათ შორის, სასწავლებელის საქმისწარმოების სისტემის ეფექტურობის კუთხით. შედგა შეხვედრები სასწავლებელის იურიდიული და მონიტორინგის სამსახურების წარმომადგენლებთან. შესწავლილ იქნა უცხოელ სტუდენტთა ჩარიცხვის და მათთვის კვალიფიკაციის მინიჭების მარეგულირებელი დოკუმენტაცია და ფაქტობრივი გარემოებები. ინტერვიუების მსვლელობისას მიღებული ინფორმაციით არ იქნა აღმოჩენილი რაიმე სახის სამართლებრივი ან სხვა სახის დარღვევა ჩარიცხვის საკითხთან დაკავშირებით, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ადმინისტრაციის მხრიდან სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის თაობაზე სტუდენტებისათვის მითითების მიცემა ხდება რეკომენდაციის ფორმით. ასეთი „რეკომენდაციის“ გაცემის საფუძველი, ბუნებრივია, ბუნდოვანია. ბუნდოვანება გამომდინარეობს იქიდან, რომ დაწესებულების ადმინისტრაციის განცხადებით, ისინი იმ სტუდენტებს, რომლებიც ქართულ ენაზე სწავლას ვერ ახერხებენ, რეკომენდაციას აძლევენ სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლაზე. ასეთ დროს, დაწესებულებას უნდა ჰქონდეს არა რჩევითი და შეფასებითი კატეგორია ინდივიდებზე დამოკიდებული, არამედ კონკრეტულ რეგულაციაში წესად გაწერილი თუ რა შემთხვევაში შეიძლება სტუდენტმა ისარგებლოს მობილობის წესით. აქ, რა თქმა უნდა, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღრული მობილობის წესები არ იგულისხმება. სტუდენტის შეფასების პროცესის და შედეგების შემოწმების, ასევე, სწავლის შედეგების შეფასების გადამოწმების მიზნით ექსპერტების მიერ გამოთხოვილ იქნა: სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი და საქმის წარმოების ერთიანი წესი, რომელიც დაკავშირებულია დაწესებულების მიერ დოკუმენტების შენახვის ვადებთან და წესთან და აღნიშნული სტუდენტების მიერ ბოლო სემესტრში წერილობით შესრულებული საგამოცდო ნაშრომები. დაწესებულებისგანმარტებით,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესისა და საქმის წარმოების ერთიანი წესის მიხედვით, რომლის მე-15.4 მუხლის თანახმად, შუალედური/მიმდინარე/დასკვნითი გამოცდ(ებ)ისწერილობითი ნაშრომების განადგურება ხდება შეფასების დაფიქსირებიდან არანაკლებ 6 თვის ვადისა.აღნიშნული გარემოება წინააღმდეგობაში მოდის საქართველოსიუსტიციისმინისტრის2010 წლის 31 მარტის №72ბრძანებასთან „დაწესებულებების საქმიანობის პროცესში შექმნილი ტიპობრივი მმართველობითი დოკუმენტების ნუსხის (მათი შენახვის ვადების მითითებით)“, რომლის 387[1] მუხლის თანახმად, წერილობითი საგამოცდო სამუშაოების შენახვის ვადა დროებითი, თუმცა 3 წლის ვადით არის განსაზღვრული, ხოლო 3 წლიანი ვადის ათვლა იწყება შეფასების გასაჩივრების ვადის გასვლის შემდგომ. შესაბამისად, ვერ მოხერხდა სტუდენტების სწავლის შედეგების შეფასებისა და გაზომვის დამადასტურებელი დოკუმენტების გადამოწმება. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასწავლებლის საქმისწარმოების ერთიანი წესი არ შეესაბამება არსებულ კანონმდებლობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი.
- ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

რეკომენდებულია, საგამოცდო ნაშრომების შენახვის ვადა განისაზღვროსსაქართველოსიუსტიციისმინისტრის2010 წლის 31 მარტის №72ბრძანების შესაბამისად.

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☑ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

- უსდ-ში ეფექტურად ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები. უსდ-ის ხელმძღვანელობა მუდმივად ზრუნავს ხარისხის უზრუნველყოფის ფუნქციის გაძლიერებაზე და ხელს უწყობს უსდ-ში ხარისხის კულტურის დამკვიდრებას.
- უსდ-ს აქვს სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მექანიზმი, რომელიც თითოეულ სტუდენტს მისცემს ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობას.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

ახალ უმაღლეს სასწავლებელში მოქმედებს ხარისხის შეფასების შიდა მექანიზმები,რომელთა ეფექტურობაც უსდ-ში თვალსაჩინოა. წარმოდგენილი დოკუმენტაციის და ინტერვიუების საფუძველზე ნათელია, რომ უსდ დიდ მნიშვნელობას ანიჭებს აკადემიური/მოწვეული/ადმინისტრაციული/დამხმარე პერსონალისა და სტუდენტების კმაყოფილების კვლევას და ითვალისწინებს ამ კვლევების შედეგებს შემდგომი განვითარებისათვის. ხარისხის სამსახური პროგრამის ხელმძღვანელებთან ერთად ჩართულია პროგრამების შემუშავებისა და მასში ცვლილების შეტანის პროცედურაში და ასევე ახორციელებს ლექციაზე ხარისხის სამსახურისა და სასწავლო პროცესის ადმინისტრირების ხელმძღვანელის დასწრების პროცესის ანალიზს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი ასევე გეგმავს აკადემიური/მოწვეული პერსონალის ურთიერთდასწრების/უერთიერთდაკვირვების ფორმის შემუშავებას, რომელიც მიმართული იქნება მათი შემდგომი განვითარებისა და ურთიერთგამოცდილების გაცვლისაკენ. ეს ხელს შეუწყობს პერსონალის ერთმანეთთან დაახლოებას და მათ შემდგომ კარიერულ წინსვლას. ყველაფერი ეს კი გავლენას მოახდენს სწავლების ხარისხზე.

უსდ-ში ამ ეტაპზე სწავლობს აქტიური სტატუსი მქონე 347 სტუდენტი. სტატუსი აქვს შეჩერებული 232-ს,ხოლო შეწყვეტილი სტატუსი მქონე სტუდენტების რიცხვი შეადგენს 194-ს,რომელთა დიდი უმრავლესობა არის აზერბაიჯანულენოვანი სტუდენტი. ის ფაქტი, რომ ყველა სტუდენტი, რომელსაც სტატუსი შეუწყვიტა ახალმა

უმაღლესმა სასწავლებელმა და ამის მიზეზად დაასახელა ენის ბარიერი, დადებითად ასახავს მათ დამოკიდებულებას სტუდენტებისთვის ხარისხიანი განათლების მიღების შესაძლებლობისადმი, ვინაიდან პროგრამები არის ქართულენოვანი და ენის არცოდნის შემთხვევაში მათი დაძლევა წარმოუდგენელია. მეორესმხრივ, ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე, რატომ ჰქონდათ სტუდენტებს მხოლოდ 1 წელი გამოყოფილი ქართული ენის შესწავლისთვის, მაშინ როცა ენობრივი ბარიერის მქონე აზერბაჯანის მოქალაქე 1 წელიწადში ვერ შეძლებს ბ2 დონეზე ასვლას.

ინტერვიუებზე უსდ-ს დადებით მხარედ განიხილეს სტუდენტებისთვის მაქსიმუმ 2 სემესტრის შემდეგ ენის ბარიერის გამო სტატუსის შეწყვეტა. ახალი უმაღლესი სასწავლებლის ადმინისტრაციას მიაჩნია, რომ სტუდენტებისთვის რეკომენდაციიის მიცემა და სხვა უსდ-ებში (მაგ. ტექნიკური უნივერსიტეტი) გადაყვანა მობილობის მეშვეობით, ამ დროს გამართლებულია და კარგი გამოსავალია, მაშინ როცა სტუდენტებთან ინტერვიუების დროს მთლიანად არ დადასტურდა ეს გარემოება. ერთ-ერთმა სტუდენტმა განაცხადა, რომ არცერთი აზებაიჯანულენოვანი სტუდენტი სასწავლებლიდან არ გადასულა ენის ბარიერის გამო. ისინი იყვნენ მისი მეგობრები და კარგი ურთიერთობა ჰქონდათ. გარდა ამისა უსდ-ს ადმინისტრაციის განცხადებით ყველა სტუდენტმა, რეკომენდაციის შემდეგ, თავად დაწერა განცხადება და ითხოვა სტატუსის შეწყვეტა. ეს განცხადებები კი ხელმისაწვდომია მათ პირად საქმეში. სტუდენტების პირადი საქმეების გამოთხოვის შემდეგ (სულ 4) არცერთის პირად საქმეში არ აღმოჩნდა ასეთი განცხადება. ზემოთთქმულიდან გამომდინარე ჩნდება კითხვის ნიშნები, რამდენად გამართლებული იყო უსდ-ს მიერ მიღებული გადაწყვეტილება სტუდენტების სხვა უმაღლეს სასწავლებელში გადაყვანისა, მაშინ როცა არცერთი სტუდენტის პირად საქმეში არ აღმოჩნდა სტუდენტის ხელმოწერილი პირადი განცხადება. იგივე შიეძლება ითქვას ასევე ქართული ენის სწავლებასთნ დაკავშირებით: რატომ არ იყო განხილული ქართული ენის სწავლების დროის გაზრდა ასევე ერთ-ერთ გამოსავალად სტუდენტების შესანარჩუნებლად.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები
- ხარისხის უზრუნველყოფის შიდა მექანიზმები

რეკომენდაციები:

სასურველია, რომ უმაღლეს სასწავლებელში უცხოენოვანი სტუდენტის ქართულ ენაში მომზადების პროგრამა არსებობდეს იმ პროცედურებთან ერთდ, რომელიც ქართული ენის არცოდნის შემთხვევაში სტუდენტის სამომავლო ქცევის მიმართულებას განსაზღვრავდა და ეს არ იყოს ადმინისტრაციის მხრიდან „რეკომენდაციაზე“ დამოკიდებული, რომელიც, თავისი შინაარსიით, მკაფიოდ განსაზღვრულ კრიტერიუმებს არ მოიცავს.

რჩევები:

საუკეთესოპრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასება მოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან მიმართებით:

☐ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

√ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვა

- **უსდ-ში შემუშავებულია რეგულაციები და მექანიზმები, რომლებიც უზრუნველყოფს ეთიკისა და კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვას. აღნიშნული რეგულაციები საჯაროდ ხელმისაწვდომია.**
- **უსდ-ს დანერგილი აქვს პლაგიატის აღმოჩენისა და თავიდან აცილების მექანიზმები.**
- **უსდ იცავს აკადემიური თავისუფლების პრინციპებს.**

სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი:

სასწავლებელში არის როგორც აფილირებული,ასევეარააფილირებული აკადემიური პერსონალი.მათი შორის განსხვავება არის მხოლოდ ანაზღაურება, აფილირებულები იღებენ 12 თვიან ხელფასს. სხვა ბენეფიტები ორივე ჯგუფისთვის ერთანაირია. უსდ-ში არსებობს პლაგიატის შემოწმების ელექტრონული სისტემა.

ინტერვიუების მიხედვით გაირკვა, რომ როგორც აკადემიური,ასევე მოწვეული პერსონალი ძალიან კმაყოფილია უნისვერსიტეტის მიერ შემოთავაზებული სერვისებით და მათი აკადემიური თავისუფლება არასდროს შეზღუდულა. გარდა აკადემიური თავისუფლებისა, მათ აქვთ სასწავლებელისმხრიდან ფინანსური მხარდაჭერა სხვადასხვა კონფერენციებში მონაწილეობის მისაღებად. სტუდენტების მხრიდან შეფასებაში გამარჯვებული პროფესორი წახალისების სახით იღებს ფულად პრემიას ან საგზურს ევროპაში. ამის მაგალითი იყო ინტერვიუს დროს იქ მყოფი პროფესორი. საგზური არ არის კავშირში აკადემიურ მიზნებთან. დაჯილდოვებული პირი თავად წყვეტს მოგზაურობის მიზანს.

უმაღლეს საგანმანათლებელო დაწესებულებაში არსებობს პლაგიატის ელექტრონული სისტემა და ამას იყენებს დაწესებულება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ინტერვიუს შედეგები

რეკომენდაციები:

რჩევები:

საუკეთესოპრაქტიკა (ები) (ასეთის არსებობის შემთხვევაში):

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

√შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.საგანმანათლებლოპროგრამები

უსდ-ს აქვს პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, დამტკიცების, განვითარებისა და გაუქმების პროცედურები. პროგრამის სწავლის შედეგები ნათლად არის ჩამოყალიბებული და შესაბამისობაშია ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოსთან. პროგრამა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

3.3 სწავლის შედეგების შეფასება
უსდ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: სწავლის შედეგების სისტემის შეფასება მონიტორინგის ჯგუფის ერთ-ერთ ამოცანას წარმოადგენდა. გაანალიზებულ იქნა სასწავლებლის არსებული სამი პროგრამა (ბიზნესის ადმინისტრირება, საერთაშორისო ურთიერთობები, ტურიზმი). პროგრამები ითვალისწინებენ სასწავლო გეგმას, გაწერილია სწვლის შედეგები და მოცემულია სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმიც. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი არ იძლევა პროგრამის სწავლის შედეგების სრულფასოვანი შეფასების შესაძლებლობას. კერძოდ, სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმში მოცემულია ზოგადი ხასიათით ისეთი მეთოდები, როგორიც გამოცდა, ტესტი, ღია კითხვაა და ისეთი არაპირდაპირი მეთოდები, როგორიც, მაგალითად, კურსდამთავრებულთა გამოკითხვაა. სწავლის შედეგების შეფასების არაპირდაპირი მეთოდები, რომელიც შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმებია, ბუნებრივია, შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს, თუმცა, სწავლის შედეგის შემოწმების პირდაპირი მეთოდი გულისხმობს შემდეგს: ამა თუ იმ პროგრამის სწავლის შედეგზე გასვლა უნდა დასტურდებოდეს კონკრეტული სავალდებულო სასწავლო კურსით (რაც, სასწავლო ბადეში მოცემული აქვს დაწესებულებას), ხოლო სწავლის შედეგის მიღწევის შემოწმება უნდა ეფუძნებოდეს მოცემული სავალდებულო საგნით რამდენად იქნა მიღწეული კონკრეტული სწავლის შედეგი. რაც შეეხება თავად სავალდებულო სასწავლო კურსით სწავლის შედეგის შემოწმების შინაარსს, კონკრეტულ სასწავლო კურსში უნდა შემოწმდეს სწავლის შედეგზე გამსვლელი გამოკითხვის იმ მეთოდის შედეგი, რომელსაც უშუალოდ გაჰყავს სასწავლო კურსი პროგრამის სწავლის კონკრეტულ შედეგზე. აღნიშნულის ბოლო რგოლს კი წარმოადგენს არსებული რეალობის ანალიზი და ანალიზის შედეგებზე დაყრდნობით პროგრამის სამიზნე ნიშნულების დასახვა. რაც შეეხება პროგრამებით გათვალისწინებულ სილაბუსებს, მასში მოცემული შეფასების სისტემა უზრუნველყოფს თანასწორ და სამართლიან მიდგომებს და ძირითადად, შეესაბამაება საქართველოში მოქმედ სამართლებრივ აქტებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: • საგანამათლებლო პროგრამები. • სწავლის შედეგების შეფასების გეგმა.
რეკომენდაციები: • სასურველია, რომ სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი დაიხვეწოს და მორგებულ იქნეს ინდივიდუალურად პროგრამის სწავლის შედეგებს, რაც შესაძლებლობას მისცემს დაწესებულებას ადეკვატურად შეაფასოს და აკონტროლოს სწავლის შედეგების მიღწევის მაჩვენებელი.
რჩევები:

შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☐შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან √ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5. სტუდენტებიდამათიმხარდაჭერისღონისძიებები

უსდ უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას და მათი უფლებების დაცვას; სთავაზობს სტუდენტებს შესაბამის სერვისებს, მათ შორის, დასაქმების ხელშეწყობის მექანიზმებს, უზრუნველყოფს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ამ ღონისძიებებში. სტუდენტთა მხარდამჭერი ღონისძიებების გასაუმჯობესებლად უსდ ითვალისწინებს სტუდენტთა გამოკითხვის შედეგებს.

5.1. სტუდენტისსტატუსისმოპოვების, ცვლილებისადაგანათლებისაღიარებისწესიდასტუდენტთაუფლებები
○ უსდ-ს თითოეული საგანმანათლებლო საფეხურისათვის შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ○ უსდ უზრუნველყოფს სტუდენტების უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვას.
სტანდარტის კომპონენტისმოთხოვნებთანშესაბამისობისაღწერითიმიმოხილვადაანალიზი: უსდ-ს თითოეული შემუშავებული აქვს სტუდენტის სტატუსის მოპოვების, შეჩერებისა და შეწყვეტის, მობილობის, კვალიფიკაციის მინიჭების, საგანმანათლებლო დოკუმენტის გაცემის, ასევე სწავლის პერიოდში მიღებული განათლების აღიარების წესები. ამ ეტაპზე ახალ უმაღლეს ასწავლებელში არის აქტიური სტატუსი მქონე 347 სტუდენტი. სტუდენტური სტატუსი აქვს შეჩერებული 232-ს, ხოლო შეწყვეტილი სტატუსი მქონე სტუდენტების რიცხვი შეადგენს 194-ს და მათი დიდი უმრავლესობა არის აზერბაიჯანულენოვანი. ახალ უმაღლეს სასწავლებეშიინტერვიურებული ყველა სტუდენტი ძალიან კმაყოფილია სასწავლებელისმიერ შეთავაზებული საგანამათალბელო პროგრამებით და თვლიან, რომ ეს არის ადგილი, სადაც სტუდენტის უფლებები არის მაქსიმალურად დაცული და მათი ინტერესები გათვალისწინებულია ყველა მიმართულებით. მათი ნათქვამი დასტურდებას ასევე ადმინისტრაციასთან ინტერვიუს დროსაც. უსდ-ს ადმინისტრაციამ აღნიშნა, რომ ყოველდღიურად ხვდება სტუდენტებს და უწევს სხვადასხვა სახის კონსულტაციას. მათი შეფასებით, მთვარი საქმე არის სტუდენტების დახმარება და მათთან მუდმივი კომუნკაციაუსდ-ში აუდიტორიებსა თუ კოლიდორებში. ახალ უმაღლეს სასწავლებელში ფუნქციონირებს კურსდამთარებულთა კლუბი, როგორც ცალკე სტრუქტურული ერთეული და მათი მხარდაჭერით სტუდენტებს მიეწოდებათ ინფორმაცია კარიერული განვითარებისა და გამოცხდებული ვაკანსიების შესახებ. ერთ-ერთი პროფესორი ინტერვიუს დროს წარმოადგენდა ასევე დამსაქმებელს. მისი თქმით მის კომპანიაში დასაქმებულია რამდენიმე სტუდენტი სასწავლებლიდან. გარდა ამისა, ინტერვიუს დროს გაირკვა,რომ თავად კურსდამთავრებულებს აქვთ მცირე ბიზნესი, სადაც ასაქმებენ სტუდენტებს. სააგარეო განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი ძალიან მოტივირებულია და ქმედით ნაბიჯებს დგამს სასწავლებელის ცნობადობის გასაზრდელად. მისი თქმით, რაც ის დანიშნულია თანამდებობაბზე (1 წელი) უსდ-მ არაერთი მემორანდუმი გააფორმა მსგავსი ტიპის კერძო უმაღლეს სასწავლებელთან ევროპაში, რის შედეგადაც ერთი სტუდენტი წასულია 1 სემესტრით ბრატისლავაში, თუმცა თანადაფინასნებით. სამსახურის ხელძღვანელმა ვერ დაასახელა რა რაოდენბის თანხა გამოყო უსდ-მ სტუდენტის თანადაფინანსებით. კურსდამთავრებულთა

კლუბის წევრები და ხელმძღვანელი ასევე სასწავლებელის მხარდაჭერით ხშირად აწესებენ საგზურებსა და ფულად პრემიებს სტუდენტების წახალისების მიზნით. ინტერვიუზე გახლდათ კურსდამთარებული/დამსაქმებელი, რომელიც ერთი კვირის წინ დაბრუნდა კვიპროსიდან და მისი და ჯგუფის წევრების იქ ყოფნა 100 პროცენტით დააფინანსა უსდ-მ. სტუდენტების ასევე ძალიან კმაყოფილები არიან პრაქტიკის კომპონენტით,თუმცა ინტერვიუს დროს ვერ ასახელებენ ორგანიზაციებს,რომელშიც გაიარეს პრაქტიკა.

უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები. ისინი თითქმის ყოველ სემესტრში ერთხელ აცხადებენ აქციას სტატუსშეჩერებული სტუდენტებისთვის და სთავაზობენ მათ ნახევა ფასად სწავლას. ვიზიტის დროსაც იყო გამოცხადებული ზემოთ თქმული აქცია, რაც ყველა სესიის დროს სასწავლებელის ძალიან კარგ პრაქტიკად დასახელდა. უსდ-ს ადმინისტრაცია მიიჩნევს, რომ ეს პრაქტიკა არ უშლის ხელს უსდ-ს ფინანსურ მდგრადობას,თუმცა ექსპერტთა ჯგუფმა ვერ მიიღო პასუხი კითხვაზე გამოცხადებული აქციების დროს რა წყაროებით დაფინანსდებიან სტატუსაღდგენილი სტუდენტები.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

რეკომენდაციები:

რჩევები:

შეფასება:

მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით:

√ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

5.2 სტუდენტთამხარდაჭერისღონისძიებები

- სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად უსდ-ში მოქმედებს საკონსულტაციო მომსახურება.
- უსდ-ში ფუნქციონირებს კარიერული მხარდაჭერის სერვისი, სადაც სტუდენტები იღებენ შესაბამის კონსულტაციას და მხარდაჭერას დასაქმებასა და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით.
- უსდ უზრუნველყოფს სტუდენტთა ინფორმირებას და მათ ჩართულობას სხვადასხვა საუნივერსიტეტო, ადგილობრივ და საერთაშორისო პროექტებსა და ღონისძიებებში, ასევე ხელს უწყობს სტუდენტური ინიციატივების მხარდაჭერას.
- უსდ-ს გააჩნია სოციალურად მოწყვლადი სტუდენტების მხარდაჭერის, მათ შორის, ფინანსური მხარდაჭერის მექანიზმები.

სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

უსდ-ს სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ საჭირო დახმარება და კონსულტაციები, როგორც სასწავლებელის ადმინისტრაციისგან, ასევე პედაგოგებისგან. სტუდენტებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ პედაგოგებთან კომუნიკაცია და საჭიროების შემთხვევაში კონსულტაციის გავლა მარტივია და ნებისმიერ დროს ხელმისაწვდომი.

ახალ უმაღლეს სასწავლებელში არსებული კურსდამთავრებულთა კლუბი უზრუნველყოფს საინფორმაციო ღონისძიებების განხორციელებას დასაქმებასთან და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით; სტუდენტებმა

გასაუბრების დროს გამოხატეს კმაყოფილება აღნიშნულ კლუბთან დაკავშირებით.სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ ახალი უმაღლესი სასწავლებელი ხელს უწყობს მათ სწავლისა და მუშაობის შეთავსებაში, რაც მათთვის ძალიან ბევრს ნიშნავს. ახალი უმაღლესი სასწავლებელი ითვალისწინებს სტუდენტების სოციალურ-ეკონომიკურ მდგომარეობას და მათ სხვადასხვა სახის შეთავაზებებს უკეთებს. მაგალითად, თუ სტუდენტი 2019 წლის დეკემბის ბოლომდე აღიდგენდა სტატუსს, მათ ექნებოდათ შესაძლებლობა ესწავლათ ნახევარ ფასად.
მტკიცებულებები/ინდიკატორები: ინტერვიუები სასწავლებელის სტუდენტებთან;
რეკომენდაციები:
რჩევები:
შეფასება: მონიშნეთ დაწესებულების შეფასებამოცემული სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთანმიმართებით: ☑ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან